

## ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,

სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“,

შპს „ენერგოტრანსს“

და

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“

შორის

თარიღი: 24 აპრილი, 2016წ.

თბილისი, საქართველო



წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის მიერ;

შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდ“ (შემდგომში „კომპანია“), ს/კ: 204968874, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის შამილ ბირკაძის მიერ;

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში „სსე“), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის სულხან ზუმბურიძის მიერ;

სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში „საქრუსენერგო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის რომეო მიქაუტაძის მიერ;

შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში „ენერგოტრანსი“) წარმოდგენილი დირექტორის კახა სეხნიაშვილის მიერ;

დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

#### განმარტებები

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
  - 1.1. „ბაზრის წესები“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის მინისტროს 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებას ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ, რომელიც მოქმედია წინამდებარე მემორანდუმის გაფორმების მომენტისათვის.
  - 1.2. „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს ექსპორტის მიზნით ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის საშუალებით გადაცემის უზრუნველყოფისათვის კომპანიას, „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას.
  - 1.3. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდარულ დღეებს.
  - 1.4. „ელექტროსადგური“ ნიშნავს მემორანდუმის დანართ N1-ში მითითებულ ჰიდროელექტროსადგურს.
  - 1.5. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკო-ს“ შორის.
  - 1.6. „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე „ახალციხე-ბორჩხა“-ს ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომლებიც საჭიროა ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემისათვის და რომელთაც ფლობს „სსე“, „ენერგოტრანსი“ ან/და „საქრუსენერგო“.
  - 1.7. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრეს და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.

- 1.8. „ზამთრის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: იანვარი, თებერვალი, მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.
- 1.9. „ზაფხულის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.
- 1.10. „თვე/თვეები“ ნიშნავს კალენდარულ თვეს თვის პირველი დღიდან თვის ბოლო დღის ჩათვლით.
- 1.11. „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც:
  - „(ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ზრალით კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის მე-12 მუხლში მითითებული მომსახურებით დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დაანგარიშებულ უნდა იქნეს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად“. (ბ) კომპანია ვალდებულია „სსე“-ს, „საქრუსენერგო“-სა და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს მემორანდუმის მე-12 პუნქტში მითითებული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.
- 1.12. „მზარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „ესკო-ს“, „სსე-ს“, „საქრუსენერგოს“ და „ენერგოტრანსს“ ერთობლივად.
- 1.13. „პროექტი“ ნიშნავს ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანალიზის მომზადებას და ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.14. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 ივნისის N1206 განკარგულებით კომპანიის გამარჯვებულად გამოცხადების მომენტიდან, კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ ხარჯს.
- 1.15. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.
- 1.16. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მის მიერ საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
- 1.17. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის მონაკვეთს ხელშეკრულების გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებამდე, რომლის განმავლობაშიც კომპანია ვალდებულია განახორციელოს სამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული სამშენებლო ფაზის ვადისა.
- 1.18. „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ნიშნავს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლიან პერიოდს.
- 1.19. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
- 1.20. „ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა“ ნიშნავს კომპანიის მიერ მოსამზადებელ კვლევას/ანგარიშს, რომელიც უნდა შეიცავდეს მემორანდუმის დანართ N2-ით განსაზღვრულ დოკუმენტებს და რომელიც უნდა ადასტურებდეს პროექტის განხორციელების ტექნიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და იურიდიულ მიზანშეწონილობას.
- 1.21. „ძირითადი მზარეები“ ნიშნავს მთავრობასა და კომპანიას.
- 1.22. „წინასამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს წინამდებარე მემორანდუმის ბალაში შესვლიდან სამშენებლო ფაზის დაწყებამდე, რა პერიოდშიც კომპანია

ვალდებულია განახორციელოს წინასამშენებლო საქმიანობა, მაგრამ არაუმეტეს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული წინასამშენებლო ფაზის ვადისა.

- 1.23. „წინასამშენებლო გარანტია“ ნიშნავს წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
- 1.24. „ხელშეკრულება“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4-ით განსაზღვრულ დოკუმენტს.

### მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, საკუთარი სახსრებით, „მშენებლობა, ფლობა, ოპერირების“ პრინციპის საფუძველზე პროექტის განხორციელება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

### წინასამშენებლო ფაზა

3. კომპანია წინასამშენებლო ფაზის განმავლობაში მემორანდუმის დანართ N1, N2 და N3-ში განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად ვალდებულია:
  - 3.1. განსაზღვროს პროექტისათვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები და მათი ადგილმდებარეობა;
  - 3.2. ჩაატაროს და დაასრულოს სრული ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევა მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადებში (მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში) და წარუდგინოს სამინისტროს;
  - 3.3. დაასრულოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და წარუდგინოს ის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს;
  - 3.4. ჩაატაროს საჯარო განხილვები და წარუდგინოს შედეგები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და სამინისტროს
  - 3.5. სამინისტროს წარუდგინოს მთავრობისთვის წარსადგენი წინადადება ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში.
4. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მემორანდუმის მე-3 მუხლით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად გადაწყვეტს ელექტროსადგურის მშენებლობას, მან მთავრობას უნდა წარუდგინოს წინადადება დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგს:
  - 4.1. კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობაზე;
  - 4.2. სრულ ტექნიკურ პარამეტრებს, ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრისა და წლიური გამომუშავების ჩათვლით;
  - 4.3. ელექტროსადგურის განლაგების ზუსტ კოორდინატებს და მდინარის ნიშნულებს;
  - 4.4. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციის სავარაუდო ოდენობას;
  - 4.5. სრულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევას;
  - 4.6. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს (საჯარო განხილვების შედეგებით).
5. თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის შედეგების ან/და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საფუძველზე აღმოჩნდება, რომ ელექტროსადგურის მშენებლობა და ოპერირება კომპანიისათვის ტექნიკურად ან/და ეკონომიკურად არ არის მიზანშეწონილი, კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტის განხორციელების თაობაზე და შესაბამის

შეტყობინებას წარუდგენს მთავრობას, მისთვის მემორანდუმის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შეთავაზების წარდგენამდე. ასეთ შემთხვევაში, მთავრობა შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 30 დღის ვადაში უზრუნველყოფს წინასამშენებლო გარანტიის (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით) კომპანიისთვის დაბრუნებას.

6. კომპანიის მიერ მემორანდუმის მე-4 მუხლის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 თვის ვადაში სამინისტრო და კომპანია ერთობლივად განიხილავენ ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეწონილობის საკითხს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ძირითადი მხარეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. მთავრობის გადაწყვეტილება უდა ეყრდნობოდა მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ან/და საჯარო განხილვის შედეგებს.
7. წინასამშენებლო გარანტია
  - 7.1. წინასამშენებლო ფაზის ფარგლებში კომპანიის ვალდებულებების, მათ შორის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, შესრულების უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ მთავრობას წარუდგინა N3663555-7929645 საბანკო გარანტია 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი წინასამშენებლო გარანტიის მოქმედების ვადა სამშენებლო ფაზის დაწყების თარიღს 2 თვით უნდა აღემატებოდეს.
  - 7.2. მთავრობა უფლებამოსილია წინასამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ და აცნობოს კომპანიას ამის თაობაზე, შემდეგ შემთხვევებში, თუ:
    - ა) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის 50%-ის ოდენობით;
    - ბ) კომპანიამ დაარღვია მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული გრაფიკი ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით;

#### სამშენებლო ფაზა

8. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
  - 8.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე შესაბამისი უფლებები;
  - 8.2. დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა მშენებლობის ნებართვის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში;
  - 8.3. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, უზრუნველყოს მისი მიერთება გადამცემ ქსელთან და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
  - 8.4. უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
  - 8.5. უზრუნველყოს მშენებლობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების, გარემოს დაცვის და სხვა სტანდარტების შესაბამისად;
  - 8.6. სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით, საკუთარი ხარჯებით, შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო

დაწესებულების სრული და თავისუფალი წვდომა პროექტის განხორციელების არეალზე;

- 8.7. შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხის და მშენებლობის უსაფრთხოების მონიტორინგი.
9. კომპანია ვალდებულია, ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან, ყოველ კვარტალურად წარუდგინოს სამინისტროს ანგარიში, ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული ქმედებებისა და შესრულებული ვადამოსული ვალდებულებების თაობაზე.
10. სამშენებლო გარანტია
  - 10.1. სამშენებლო ფაზის უზრუნველყოფის მიზნით, კერძოდ, მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია ასაშენებელი ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრის მიხედვით, 100 მეგავატი სიმძლავრის ჩათვლით - ყოველი მეგავატისათვის 100 000 (ასი ათასი), ხოლო 100 მეგავატზე მეტი სიმძლავრის შემთხვევაში - ყოველი მეგავატისათვის 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ან მისი ეკვივალენტის ევროში ოდენობით. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ. კომპანიას ამ პუნქტის შესაბამისად სამშენებლო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, მისი წარმოდგენიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნდება წინასამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისთვის არსებული ოდენობით).
  - 10.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
  - 10.3. კომპანიის მიერ- მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიის დაჯარიმებას მთლიანი სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ამასთან, კომპანიამ დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს სამინისტროსგან მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის განმავლობაში. კომპანიის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადახდის შემთხვევაში სამშენებლო გარანტია შემცირდება გადახდილი ჯარიმის ოდენობით.
  - 10.4. მთავრობა უფლებამოსილია, სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
    - ა) კომპანია მემორანდუმის 10.2 ან/და 10.3 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის გადახდაზე უარს აცხადებს - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით.
    - ბ) მთავრობა 15.3 ან/და 15.4 პუნქტის შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - სამშენებლო გარანტიის სრული მოცულობით.“

## ელექტროენერჯის რეალიზაციის ზოგადი პირობები

11. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის განმავლობაში, ყოველი წლის ზამთრის თვეებში ელექტროსადგურის წლიური ფაქტობრივი გამომუშავების 20%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკო“-ზე ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიერთების წერტილში ტარიფით 5,5 (ხუთი მთელი ხუთი მეათედი) აშშ ცენტი 1 კვტ/სთ. ელექტროსადგურის მიერ გამოსაშუშავებელი ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობა აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20%-ზე ნაკლებია (შესაბამისი წლის 1 იანვარს მოქმედი ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსის შესაბამისად), მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერჯის წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20%-ს შორის მიეწოდება ესკო-ს ზამთრის შემდგომ თვეებში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს ესკო. სხვაობა ელექტროსადგურის ფაქტობრივი წლიური გამომუშავების 20%-სა და ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20%-ს შორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნას გათვალისწინებული მომდევნო წელს.
12. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, უზრუნველყონ კომპანია საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით. ამასთან, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, დამატებით უზრუნველყოს კომპანია გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჯახს“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში დროის იმ მონაკვეთებისათვის, რომლის განმავლობაშიც „ახალციხე-ბორჯახს“ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი ელექტროენერჯის სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ მემორანდუმის ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიასთან მიიღე ან გადაიხადე პრინციპის საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

## მხარეთა ვალდებულებები

13. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
  - 13.1. უზრუნველყოს პროექტის განხორციელება;
  - 13.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;



- 13.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ ცოტა 70% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე.
14. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
- 14.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის, შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 14.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა (მათ შორის, სახელმწიფოსგან მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით), იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- 14.3. ამ მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში (მემორანდუმის შეწყვეტამდე) კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადასცეს დანართი N1-ით გათვალისწინებული ნიშნულების ფარგლებში ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება სხვა პირს;
- 14.4. მემორანდუმის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, ასეთი ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე არ გადასცეს სხვა პირ(ებ)ს დანართი N1-ით გათვალისწინებული იმ ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის საკითხების შესწავლის ან/და ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების უფლება, რომლის მშენებლობის თაობაზეც კომპანიის მიერ მემორანდუმის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება;
- 14.5. ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მიერთების მიზნით, უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულება (ახალი 220/110/10 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ხაზის მშენებლობა საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N122 ბრძანების („საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად, მაგრამ არაუგვიანეს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებისთვის მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრული ბოლო ვადისა.


#### მემორანდუმის შეწყვეტა

15. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
- 15.1. კომპანია ვერ ასრულებს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს;
- 15.2. კომპანია დაარღვევს დანართი N2-ით გათვალისწინებულ გრაფიკს და ეს დარღვევა გაგრძელდება ჯამში 60 დღეზე მეტი ვადით;





- 15.3. 10.2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 15.4. 10.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
- 15.5. მთავრობის მიერ მემორანდუმის მე-6 მუხლის შესაბამისად დადებითი გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში კომპანიის ბრალით ან/და კომპანიის მიერ ხელი არ მოეწერა ხელშეკრულებას;
- 15.6. კომპანიამ მემორანდუმის მე-5 მუხლის შესაბამისად, ან სხვაგვარად უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;
- 15.7. კომპანიის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით;
16. მთავრობის მიერ ამ მემორანდუმის მე-15 მუხლის შესაბამისად მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
  - 16.1. მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში მთავრობას უსასყიდლოდ გადაეცემა უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისათვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო;
  - 16.2. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
  - 16.3. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე, ისევე როგორც პროექტთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე (მათ შორის კომპანიის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებზე) ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში.
17. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე.
18. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
  - 18.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
  - 18.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;



- 18.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
- 18.4. წინამდებარე მემორანდუმის მე-17 მუხლის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს აუდიტირებული და დოკუმენტირებული საინვესტიციო ხარჯი კომპანიის მიერ მემორანდუმის 18.1-18.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;
- 18.5. წინამდებარე მემორანდუმის მე-17 მუხლის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 18.1-18.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ 1 (ერთი) თვის ვადაში.
19. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
20. ამ მემორანდუმის მე-15, მე-17 და მე-19 მუხლების შესაბამისად შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის მის შეწყვეტასა და შესაბამისად - ხელშეკრულებს, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას.

#### მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

21. მემორანდუმი დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
22. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### VIII - ფორს-მაჟორი

23. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეთა გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან მსგავსი მოვლენა.
24. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებულ რომელიმე მხარეს საკუთარი ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებაში, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და

- სხვა მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძველით, თუ ამ მემორანდუმით ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
25. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 180 დღეზე დიდხანს, მხარეები ერთობლივად განიხილავენ მემორანდუმის შეწყვეტისა და მისი სამართლებრივი შედეგების საკითხს.

**IX - დამატებითი დებულებები**

26. იმ შემთხვევაში, თუ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების შემდეგ შეიცვალა ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები, კომპანიის მოთხოვნის საფუძველზე მთავრობა განიხილავს მემორანდუმში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხს.
27. მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნას წერილობით და გაიგზავნოს ფოსტით ან/და კურიერის მეშვეობით, ელექტრონული ფოსტით (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით). კორესპონდენციები ძალაში შედის ადრესატის მიერ მიღებისთანავე.
28. მემორანდუმს ერთვის დანართი N1, N2, N3 და N4, რომელიც წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
29. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.
30. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ“

შამილ ბირკაძე

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

სულხან ზუმბურაძე



სს „გაერთიანებული ენერჯი“ სისტემა საქრუსენერგო

რომელი მიხედვით



შპს „ენერჯი სერვისი“

კახა სენიშვილი

*[Handwritten signature]*

დანართი N1

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		წლიური გამომუშავება	სიმძლავრე
ბაზვი 2 ჰესი	გურია, ოზურგეთის რეგიონი, მდინარე ბაზვისწყალი	1338 მ	600 მ	110 მლნ. კვტ. სთ.	20 მგვტ.

დანართი N2

ბაზვი 2 ჰესი	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან		
	2	4	6
ადგილმდებარეობისა და ძირითადი პარამეტრების განმარტებები		+	
ტოპოგრაფიული კვლევა და რუკების მომზადება		+	
გეოლოგია, გეოფიზიკა		+	
სეისმური რისკის ანალიზი		+	
სამშენებლო მასალების კვლევა		+	
მეტეოროლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები		+	
ჰიდრაულიკური კვლევები		+	
ალტერნატიული ანალიზი		+	
ტექნიკური დიზაინი		+	
ინფრასტრუქტურა		+	
ელექტროენერჯის გენერაცია და გამოყენება		+	
ქსელთან მიერთება და გადამცემი ხაზი		+	
ეკოლოგია		+	
სამუშაოების მოცულობის უწყისი		+	
მშენებლობის ორგანიზირება		+	
ეკონომიკური ანალიზი		+	
ფინანსური ანალიზი		+	
შესყიდვების დაგეგმვა და განხორციელების გეგმა		+	
სამუშაო ძალის დატრენინგების გრაფიკი		+	
ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის წარდგენა		+	
გარემოზე ზემოქმედების და სოციალური რისკების შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა		+	
საჯარო განხილვის ჩატარება და შედეგების წარდგენა			+
პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის დადგენა და განსაზღვრა			+
პროექტის განხორციელების თაობაზე მთავრობისათვის წინადადების წარდგენა			+

დანართი N3

წინასამშენებლო ფაზა		სამშენებლო ფაზა		
დასაწყისი	დასასრული	დასაწყისი		დასასრული
მემორანდუმის ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღი	მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების თარიღი - არაუგვიანეს 6 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან	ექსპლუატაციაში მიღება
11 თვე მემორანდუმის ხელმოწერიდან (მოიცავს მემორანდუმის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ 5 თვიან პერიოდს)		42 თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან		

დანართი N4

ხელშეკრულება

ბაზვი 2 ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის

დაწყების შესახებ

ქ. თბილისი

\_\_\_\_\_ / წელი

ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ, და

მეორე მხრივ, სს/შპს [კომპანიის დასახელება] (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: [●] წარმოდგენილი დირექტორის [სახელი, გვარი, პირადი ნომერი] მიერ

დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

ვინაიდან, ძირითადად მხარეებმა, ----- მემორანდუმის შესაბამისად, კომპანიის მიერ მომზადებული და წარდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და საჯარო განხილვის შედეგების საფუძველზე, მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე;

ვინაიდან, კომპანიამ მემორანდუმის 10.1 მუხლის საფუძველზე მთავრობის სასარგებლოდ წარადგინა სამშენებლო გარანტია;

აქედან გამომდინარე, ძირითადი მხარეები დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას მშენებლობის ფაზის დაწყების მიზნით.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან.

ხელმოწერები:

საქართველოს მთავრობა


\_\_\_\_\_  
ილია ელოშვილი

სს/შპს [კომპანიის დასახელება]

\_\_\_\_\_  
[სახელი, გვარი]



ენერჯისი



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1991 2016 წლის 30 სექტემბერი ქ.თბილისი

საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერს“,  
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ  
ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და  
სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის  
დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო  
ფაუერს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს  
„გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს  
„ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ  
ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და  
საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად,  
ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებულ ურთიერთგაგების  
მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს  
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა, ~~გეორგი კვიციანი~~ გეორგი კვიციანი.

პრემიერ-მინისტრი

გ. კვიციანი



გიორგი კვიციანი



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010134703551716

საქართველო, ქ. თბილისი, მ. 114, გორგასლის ქ. 34 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge  
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6046

11 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის  
მინისტრის მოადგილეს,  
ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 06 სექტემბრის №04/3611 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუნდს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანს“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

1. მემორანდუმის პროექტის 1.12 მუხლი აღდგენს, რომ „მზარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას და „ესკო“-ს ერთობლივად. შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტის პრეამბულაში ამ ტერმინით აღნიშნულია მემორანდუმის ყველა მხარე ერთობლიობაში. შესაბამისად, ხსენებული მუხლი და მემორანდუმის პროექტის პრეამბულა საჭიროებს ურთიერთშესაბამისობაში მოყვანას.

2. მემორანდუმის პროექტის 1.14 მუხლის თანახმად, „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელებისათვის გაწეულ ხარჯს. მიზანშეწონილია, მუხლის ფარგლებში, ასევე, დაკონკრეტდეს „საინვესტიციო ხარჯის“ ფარგლებში გაწეული ხარჯის ათვლის წერტილი.

3. მემორანდუმის პროექტის ფარგლებში არ არის დარეგულირებული მისი მოქმედების ვადა. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმის პროექტის მე-14 მუხლი ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებს, მათი უვადო ვალდებულებებად ჩამოყალიბება საჭიროებს დამატებით განხილვას და გადაწყვეტას მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. ამასთან, მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ყველაზე ხანგრძლივ ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიისგან ელექტროენერჯის შექმნა სადგურის ოპერირების დაწყებიდან 10 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვალდებულების შესრულების შემდეგ მემორანდუმის არსებობა საქართველოს მთავრობისთვის მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, მემორანდუმის მოქმედების მარეგულირებელ 29-ე მუხლში მემორანდუმის მოქმედების ვადად განისაზღვროს მემორანდუმის 1.18 მუხლით დადგენილი „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის“ ამოწურვის ვადა.

აქვე შევნიშნავთ, რომ, მემორანდუმის მოქმედების ვადის შესაბამისად, მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადაც.

4. მემორანდუმის პროექტის მე-16 მუხლი ადგენს მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტის შედეგს. შევნიშნავთ, რომ მომავალში 16.1-16.3 მუხლების შესრულებასთან დაკავშირებული ხუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია, დაკონკრეტდეს შეთანხმებული შედეგების დადგომის ვადები.

5. მემორანდუმის პროექტი შეიცავს რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზს, კერძოდ: ა) მემორანდუმის პროექტის ფარგლებში არ არის დარეგულირებული აპრილსა და სექტემბერში გამომუშავებულ ელექტროენერგიასთან დაკავშირებული საკითხები; ბ) 15.2 მუხლის მეორე წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს 15.3 მუხლად და მომდევნო მუხლები გადაინომროს შესაბამისად.

პატივისცემით,

**გ. ლორთქიფანიძე**

მინისტრის მოადგილე


გოჩა ლორთქიფანიძე

საქრუსენერგო

სს საქართველოს ენერჯეტიკული სისტემა

SAKRUSENERGO

ISC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/759  
08/09/2016

759-05-2-201609081612



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ, საქართველოს მთავრობას, შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯიას“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი დანართებთან ერთად, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიჭაუტაძე

გენერალური დირექტორი



4510-09-2-201609141236

N 4510/09

14/09/2016

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ განიხილა თქვენი 06/09/2016წ. N04/3610 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსს“ და სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

1. პროექტის 1.10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს კომპანიისთვის კომპენსაციების გადახდას მიიღე ან გადაიხადე პრინციპის საფუძველზე. ამ პრინციპის არსიდან გამომდინარე და პრაქტიკაშიც გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გადაიხდას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი (იმავე ხელშეკრულებით განისაზღვრება მიუღებელი შემოსავლის გამოთვლის კონკრეტული მექანიზმი და ზღვრები). რაც შეეხება ზიანს ეს უფრო ფართო ცნებაა და მისი „მიიღე ან გადაიხადე პრინციპში“ დამატება არასწორად მიგვაჩნია. აქვე აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის გადახდის ვალდებულება დგება შესაბამისი მხარის ბრალით მომსახურების გაუწევლობის შემთხვევაში, რაც მიზანშეწონილია მიეთითოს. აღნიშნულის გათვალისწინებით გთავაზობთ 1.10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში შემდეგ ცვლილებებს (მონიშნულია):

„(ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის მე-12 პუნქტში მითითებული მომსახურებით ~~„მხარის წესებით“ დადგენილი პირობების შესაბამისად~~, დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის


ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიყენებული ზიანი, მათ შორის მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დაანგარიშებულ უნდა იქნეს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. წარმოდგენილი პროექტის 14.5 მუხლით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა მიზნად ისახავს გურიის რეგიონის ჰესების ქსელში ინტეგრაციას. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მემორანდუმის მიზნებისთვის შესაბამისი ქვესადგურისა და ხაზის მშენებლობის დასრულების თარიღი არ იყოს მიზნული მხოლოდ საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N122 ბრძანებით განსაზღვრულ ვადასთან. ამასთან, საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N122 ბრძანებით („საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“) გათვალისწინებულია 220/110 კვ ქვესადგურის მშენებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის 14.5 მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (ცვლილებები მონიშნულია):


„14.5 ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მიერთების მიზნებისთვის, უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულება (აბალი 220/110/40 კვ ქვესადგურისა და 110 კვ ხაზის მშენებლობა) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის #122 ბრძანების („საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად, ამასთან, არაუმეტეს მემორანდუმის ძალაში შესვლიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებისთვის მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ საერთო ვადაში.“

პატივისცემით,

მამუკა სხილამე



მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი  
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2  
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia  
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1065  
12/09/2016

1065-01-2-201609121220



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის  
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 06 სექტემბრის #04/3610 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (ბაზვი 2 ჰესი) და მოგახსენებთ, რომ ვეთანხმებით წარმოდგენილ დოკუმენტს ქვემოთ მოცემული შენიშვნის გათვალისწინებით.

მიგვაჩნია, რომ მე-11 მუხლის მე-3 წინადადება უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის პირველ თვეებში ელექტროენერგიის წლიური საპროგნოზო რაოდენობის 20%-ზე ნაკლებია (შესაბამისი წლის 1 იანვარს მოქმედი ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბალანსის შესაბამისად), მაშინ სხვაობა ფაქტობრივ გამომუშავებასა და ელექტროენერგიის

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE


სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“  
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; საიდ.კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC  
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036

წლიურ საპროგნოზო რაოდენობის 20%-ს შორის მიეწოდება ესკო-ს ზამთრის შემდგომ თვეებში ან სხვა თვეებში, რომელსაც განსაზღვრავს ესკო“.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე



გენერალური დირექტორი





**ენერგოტრანსი**

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Barataashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

15/09/2016

N 529

529-01-2-201609151515



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 06 სექტემბრის #04/3610 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს "ენერგოტრანსმა" განიხილა საქართველოს მთავრობას, შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერს“ სს „საქართველოს სახლმწიფო ელექტროსისტემას“ სს „ გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“, შპს ენერგიტრანსს და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,  
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



**ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო  
(არაკომერციული) იურიდიული პირების  
რეესტრიდან**

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15138937, 30/06/2015 12:48:35

**სუბიექტი**

**საფირმო სახელწოდება:** შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ

**სამართლებრივი ფორმა:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 204968874

**რეგისტრაციის ნომერი,  
თარიღი:** 5/4-2953; 31/08/2001

**მარეგისტრირებული  
ორგანო:** ვაკე-საბ. რ/ნის სასამართლო

**იურიდიული მისამართი:** საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზ., №41, სართული 3, (ოთახი №4, №5, №6)

**დამატებითი ინფორმაცია:**

**ელ. ფოსტა:** geohydropower@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

**ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის  
მიმდინარეობის შესახებ**

რეგისტრირებული არ არის

**ხელშეძრვანელობა/წარმომადგენლობა**

- გენერალური დირექტორი - 01009006698, შამილ ბირკაძე
- დირექტორი - 01008014058, ირაკლი ჯანაშვილი

**პარტნიორები**

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
01009006698, შამილ ბირკაძე	100.00000000%	

**ვალდებულება**

რეგისტრირებული არ არის

## გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

---

### ყაღაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

### საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### მოდრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთებზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

### შოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge) , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)